



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

9

**ეკონომიკური ზრდის შენელება საქართველოში:
პოლიტიკონომიური ასპექტი**

მერაბ კაკულია



დასავლეთის ეზრი

2013



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

მერაბ კაკულია

**ეკონომიკური ზრდის შენელება საქართველოში:
პოლიტიკონომიური ასპექტი**

9

2013



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2013 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-5824-0

ეკონომიკური ზრდის ტემპის ვარდნა

გასული 2012 წლის პირველ სამ კვარტალში საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ დინამიკურად ვითარდებოდა: რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP-ის) წლიური ზრდის ტემპმა აღნიშნულ პერიოდში საშუალოდ 7,5% შეადგინა. მაღალი ეკონომიკური აქტიურობით გამოირჩეოდა მშენებლობის, გადამამუშავებელი მრეწველობის, საფინანსო საქმიანობის, სასტუმროებისა და რესტორნების სექტორები.¹

2012 წლის მესამე კვარტლიდან დაიწყო ეკონომიკური აქტიურობის შენელება, რაც წლის ბოლოს რეალური GDP-ის ზრდის ტემპის მკვეთრ ვარდნაში გადაიზარდა. მეოთხე კვარტალში ეს მაჩვენებელი წლიურ გამოსახულებაში 2,8%-მდე შემცირდა. იმ სექტორებიდან, სადაც წლის პირველ სამ კვარტალში მაღალი ეკონომიკური აქტიურობა შეინიშნებოდა, ზრდის ტემპები განსაკუთრებით დაეცა გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში.²

რეალური GDP-ის ზრდის ტემპის ვარდნა 2013 წლის პირველ კვარტალში კიდევ უფრო გაღრმავდა. საქსტატის წინასწარი შეფასებით, ეს მაჩვენებელი წლიურ გამოსახულებაში იანვრიდან მოყოლებული თანმიმდევრულად ეცემოდა და მარტში მხოლოდ 0,4% შეადგინა.³

მთლიანობაში, რეალური GDP-ის ზრდის ტემპი პირველ კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულზე – 2,4%-ზე დავიდა. წლიური ზრდის ტემპების მკვეთრი დაცემა გამოიკვეთა გადამამუშავებელ მრეწველობაში, სასტუმროებისა და რესტორნების სექტორსა და საფინანსო საქმიანობის სფეროში, ხოლო მშენებლობაში, ენერჯეტიკასა და ტრანსპორტში აღინიშნა კლება.⁴

საქსტატის წინასწარი შეფასებით, 2013 წლის აპრილში რეალური GDP-ის ზრდის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად, 4,5%-მდე, გაიზარდა, რამაც ეკონომიკური დინამიკის გაუმჯობესების გარკვეული იმედი გააჩინა; თუმცა, მაისში იგივე მაჩვენებელი კვლავ მკვეთრად – ნულოვან დონემდე – დაეცა.⁵

რამ განაპირობა ეკონომიკური ზრდის შენელება?

ეკონომიკური ზრდის შენელება საქართველოში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2012 წლის მესამე კვარტლიდან დაიწყო, მაშინ,

როდესაც წინასაარჩევნო კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მმართველი პარტიის – ერთიანი ნაციონალური მოძრაობის – დამარცხებისა და ხელისუფლებაში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ეკონომიკური აქტიურობის შენელებას საქართველოში საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები და სარეიტინგო სააგენტოები მეტწილად წინასაარჩევნო კამპანიასა და ხელისუფლების ცვლილებას უკავშირებენ.⁶ მიუხედავად ამისა, დასახელებული პოლიტიკური მოვლენების როლი GDP-ის ზრდის ტემპების დაცემაში ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული და დამატებით შესწავლას საჭიროებს იმისათვის, რათა დაისახოს ეკონომიკური დინამიკის გაუმჯობესების გზები.

ეკონომიკურ ზრდაზე წინასაარჩევნო კამპანიისა და ხელისუფლების ცვლილების გავლენის შეფასებამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმ მაკროეკონომიკური მიზეზების მოკლე მიმოხილვა, რომელთაც უშუალოდ განაპირობებს ეკონომიკური აქტიურობის შენელება საქართველოში.

ინვესტიციების შემცირება

ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემა მნიშვნელოვანწილად გამოიწვია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებითმა კლებაზე, რომელთა ჯამური მოცულობა ბოლო სამ კვარტალში (2012 წლის მესამე, მეოთხე და 2013 წლის პირველ კვარტალებში), 2011-2012 წლების შესაბამის პერიოდთან შედარებით, 35%-ით დაეცა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში პირდაპირი ინვესტიციები მეტწილად ყველა ძირითად დარგში შემცირდა.⁷

როგორც ჩანს, უცხოელმა ინვესტორებმა საკმაოდ მძაფრად აღიქვეს საპარლამენტო არჩევნებთან და ხელისუფლების ცვლილებასთან დაკავშირებული გაურკვეველობა, რამაც გამოხატულება ჰპოვა ქცევის მოდელში, რომელსაც „მოიცადე და დააკვირდი“ (“wait-and-see”) ეწოდება.

ახალი მთავრობის მოსვლამ ხელისუფლებაში ადგილობრივი ინვესტორების აქტიურობაც შეასუსტა, რადგანაც არჩევნების შემდეგ კარდინალურად შეიცვალა მთავრობის მიდგომა ქართული ბიზნესის მიმართ,* რომელსაც ადრე ელიტურ და პოლიტიკურ კო-

* პოლიტიკურ შოკს, რომელიც არჩევნების შემდეგ ადგილობრივმა ბიზნესელიტამ მიიღო, ქვემოთ საგანგებოდ შევხებით.

რუფციაზე დაფუძნებული „თამაშის წესები“ განსაზღვრავდნენ.⁸

საინვესტიციო აქტიურობის შემცირებაზე მეტყველებს ის, რომ მნიშვნელოვნად იკლო საინვესტიციო საქონლის იმპორტის მოცულობამ.⁹

ინვესტიციების შემცირება ნათლად აისახა ეროვნულ ანგარიშებში: მთლიანი კაპიტალის ფორმირების წლიური ზრდის ტემპი 2012 წლის მესამე კვარტალში მკვეთრად დაეცა, მეოთხე კვარტალში მისი მოცულობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2%-ით, ხოლო 2013 პირველ კვარტალში თითქმის 16%-ით შემცირდა.¹⁰

ინფრასტრუქტურული პროექტების შეყოვნება

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად საქართველოში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს ბოლო წლებში ბიუჯეტის ინფრასტრუქტურული ხარჯები წარმოადგენდა. მიუხედავად ფისკალური კონსოლიდაციის პოლიტიკისა, რომელსაც მთავრობა 2012 წელს ატარებდა, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისათვის მსხვილი ასიგნებები გამოიყოფოდა, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა წლის პირველ სამ კვარტალში GDP-ის ზრდის მაღალი ტემპების შენარჩუნებაში.

2012 წლის მეოთხე და 2013 წლის პირველ კვარტალში აღნიშნული ხარჯების დაფინანსება შეყოვნდა. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო ახალი მთავრობის მიერ სატენდერო პროცედურების გადასინჯვა, რაც ადრინდელი ტენდერების არაკონკურენტულობითა და მათში გამარჯვებული კომპანიების საქმიანობაში გამოვლენილი სერიოზული დარღვევებით იყო განპირობებული.¹¹ ბიუჯეტის ინფრასტრუქტურული ხარჯების შეფერხებამ, ცხადია, ხელი შეუწყო ეკონომიკური აქტიურობის შესუსტებას.

მოთხოვნის შესუსტება

ინვესტიციების კლებამ და ინფრასტრუქტურული პროექტების შეყოვნებამ, უარყოფითად იმოქმედა ერთობლივ მოთხოვნაზე. ამას ისიც დაემატა, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფოს მიერ საქონელსა და მომსახურებაზე განეული ხარჯები: 2013 წლის პირველ კვარტალში მათი მოცულობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 49,6%-ით შემცირდა.¹² სახელმ-

ნიფო მოხმარების კლების ტენდენცია 2013 წლის მეორე კვარტალშიც გაგრძელდა.

ეკონომიკური ზრდის შენელების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სამომხმარებლო მოთხოვნის შესუსტება. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებლის ნდობის ინდექსი უშუალოდ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ (2012 წლის ოქტომბერ-ნოემბერში) მკვეთრად გაიზარდა, წლის ბოლოს იგი ასევე მკვეთრად დაეცა. იანვარ-თებერვალში მომხმარებლის განწყობა კვლავ გაუმჯობესდა, თუმცა მარტში აღნიშნული ინდექსი ისევ დავარდა.¹³ ზემოთქმული იმაზე მიუთითებს, რომ ქართველ მომხმარებელს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ნაკლებად ოპტიმისტური განწყობა ჩამოუყალიბდა, რაც მოხმარებისკენ მის შედარებით სუსტ მიდრეკილებაში გამოვლინდა.

სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირებას ნაწილობრივ სესხების სტატისტიკაც ადასტურებს. მკვეთრად დაეცა შინამეურნეობებზე კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საერთო მოცულობის წლიური ზრდის ტემპი: 2013 წლის პირველ კვარტალში მან საშუალოდ 17% შეადგინა, მაშინ, როდესაც წინა წლის შესაბამის პერიოდში ეს მაჩვენებელი 36%-ს აღწევდა.¹⁴

მოთხოვნის და, კერძოდ, სამომხმარებლო მოთხოვნის კლებაზე მიუთითებს აგრეთვე იმპორტის შემცირება, რომელიც მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია სანავისა და სურსათის იმპორტის კლებასთან. 2012 წლის ნოემბრიდან მოყოლებული იმპორტის მოცულობა წლიური გამოსახულებით ყოველთვიურად მცირდება. იმპორტის წლიურმა კლებამ თავის პიკს 2013 წლის მარტში მიაღწია, როდესაც მან თითქმის 10% შეადგინა.¹⁵

შინამეურნეობათა მოხმარებისკენ მიდრეკილების შესუსტებაზე მეტყველებს აგრეთვე ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდის ტენდენციაც. საპარლამენტო არჩევნებამდე მისი ტემპი მცირდებოდა და სექტემბერში წლიური 7% შეადგინა. შემდეგ ამ ტიპის დეპოზიტების ფორმირება დაჩქარდა: 2013 წლის პირველ კვარტალში მათი ზრდის ტემპმა წლიური გამოსახულებით საშუალოდ 18% შეადგინა.¹⁶

პოლიტიკური რისკების გაძლიერება

ყველა ის მაკროეკონომიკური მიზეზი, რომელმაც უშუალოდ განაპირობა GDP-ის ზრდის ტემპების დაცემა საქართველოში, მე-

ტად თუ ნაკლებად საპარლამენტო არჩევნებთან და ხელისუფლების ცვლილებასთანაა დაკავშირებული, თუმცა ამ მოვლენებთან ასოცირებული პოლიტიკური რისკების გავლენა ეკონომიკურ დინამიკაზე არაერთგვაროვანია. ქვემოთ მოცემულია ძირითადი პოლიტიკური რისკების დეკომპოზიცია, რომელიც საშუალებას გვაძლევს უკეთ დავინახოთ მათი ზემოქმედება ეკონომიკური ზრდის შენელებაზე.

პოლიტიკური გაურკვევლობა

პოლიტიკურ გაურკვევლობაში იგულისხმება შიდაპოლიტიკური არასტაბილურობის განცდა. საქართველოს კონტექსტში ამას საპრეზიდენტო რესპუბლიკაში საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ფორმირებული მთავრობის პრეზიდენტთან შეუთავსებლობა იწვევს, რაც ვერა და ვერ გადაწონა ორივე მხარის მიერ არაერთხელ დეკლარირებულმა მისწრაფებამ „კოაბიტაციისკენ“.

პოლიტიკური არასტაბილურობის რისკს იწვევსტორები უფრო მწვავედ აღიქვამდნენ მანამ, სანამ მოქმედ პრეზიდენტს შეეძლო პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში ახალ საპარლამენტო არჩევნებამდე მთავრობის საკუთარი შეხედულებისამებრ დაკომპლექტება. მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად პრეზიდენტს ეს უფლება ჩამოერთვა (2013 წლის მარტი), პოლიტიკური გაურკვევლობა, როგორც ასეთი, მნიშვნელოვნად განეიტრალდა.

მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი საკმაოდ სერიოზულ დისკომფორტს უქმნის ახალ მთავრობას, რასაც ადასტურებს თუნდაც ის, რომ მრავალრიცხოვანი საზღვარგარეთული ვიზიტის დროს იგი ყველანაირად ცდილობს მოახდინოს ახალი ხელისუფლების დისკრედიტაცია და შეასუსტოს მის მიმართ ნდობა. უცხოელი იწვევსტორები არც იმას აღიქვამენ ერთგვაროვნად, როცა ახალი მთავრობის წარმომადგენლები წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ნებისმიერ რეფორმას უკიდურესად ნეგატიურად აფასებენ.¹⁷

ბიზნესის პოლიტიკური შოკი

ახალმა მთავრობამ მყისიერად უარყო წინა ხელისუფლების ბიზნესთან ურთიერთობის უაღრესად მანკიერი პრაქტიკა – სხვადასხვა დარგის წამყვანი ქართული კომპანიების მნიშვნელოვანი

ნანილი, რომელიც ან წინა ხელისუფლების მაღალი ემელონების წარმომადგენელთა ახლო ნათესავების, ან მეგობრების მიერ კონტროლდებოდა,¹⁸ ან სისტემატურად ასრულებდა ყოფილი ხელისუფლების არაფორმალურ „დავალებებს“, წლების მანძილზე მნიშვნელოვანი უპირატესობებით სარგებლობდა: „იმარჯვებდა“ საპრივატიზაციო აუქციონებში, „იგებდა“ სახელმწიფო შესყიდვების ტენდერებს, ჰქონდა ფაქტობრივი ფისკალური შეუვალობა, ინარჩუნებდა დომინირებულ მდგომარეობას ბაზარზე და ა.შ.¹⁹ გარდა ამისა, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ხელისუფლების მიერ პოლიტიკურად „არაკეთილსაიმედო“ ბიზნესმენების ექსპროპრიაციაში, რაც მათთვის ჩამორთმეული აქტივების ხელში ჩაგდებაში გამოიხატებოდა.

არჩევნების შემდეგ ასეთი კომპანიების მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა: ახალი მთავრობის პირობებში მათ მყისიერად დაკარგეს ყველა პრივილეგია; ამასთან, დაიწყო ელიტურ და პოლიტიკურ კორუფციაში ჩართული ყოფილი მაღალჩინოსნების სისხლის-სამართლებრივი დევნა, რომლებიც არაერთ ბიზნესსტრუქტურას მფარველობდნენ.²⁰

ყოველივე ეს შოკისმომგვრელი აღმოჩნდა აღნიშნული კომპანიებისთვის, რამაც, ცხადია, უარყოფითად იმოქმედა მათ ეკონომიკურ აქტიურობაზე. ამგვარი შოკის ეფექტის რაოდენობრივი შეფასება ერთობ რთულია და ცალკე კვლევას საჭიროებს, მიუხედავად ამისა, ბიზნესექტორის ოფიციალური სტატისტიკა გარკვეულ წარმოდგენას მაინც გვიქმნის მის მასშტაბზე. საწარმოთა ბრუნვა 2013 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 6%-ით გაიზარდა მაშინ, როდესაც 2012 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საწარმოთა ბრუნვის მატების ტემპი 42%-ს აჭარბებდა. ნიშანდობლივია, რომ მსხვილი კომპანიების ბრუნვების ზრდის ტემპი იმავე პერიოდში თითქმის 10-ჯერ შემცირდა, საშუალო კომპანიებისა – 5-ჯერ, ხოლო წვრილი საწარმოებისა – 4-ჯერ.²¹ როგორც ჩანს, ხელისუფლების ცვლილება ყველაზე მეტად მაინც მსხვილ კომპანიებზე აისახა.

რეგულირების გაურკვეველობა

მიზანშეწონილია განვასხვავოთ „პოლიტიკური გაურკვეველობა“ და „პოლიტიკის გაურკვეველობა“ (Policy Uncertainty).²² პოლიტიკის გაურკვეველობის გამოვლენის ძირითადი ფორმაა რეგული-

რების გაურკვევლობა (Regulatory Uncertainty), რაც რეგულირების არსებულ სისტემაში ინვესტორთათვის არახელსაყრელი ცვლილებების შესაძლებლობას გულისხმობს.

მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალი მრავალმხრივი ინვესტიციების სააგენტოს (MIGA) ბოლო კვლევის მიხედვით, განვითარებად ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ რისკებს შორის ინვესტორები ყველაზე მგრძობიარე სწორედ რეგულირების გაურკვევლობის მიმართ არიან.²³ ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ საერთაშორისო დამკვირვებლების ნაწილი უცხოელი ინვესტორების სიფრთხილეს საქართველოს მიმართ წინასაარჩევნო პერიოდში და განსაკუთრებით არჩევნების შემდეგ მნიშვნელოვანწილად მარეგულირებელი ჩარჩოს შესაძლო ცვლილებებს უკავშირებენ.

რეგულირების გაურკვევლობის თვალსაჩინო მაგალითად სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის რეგიონული დირექტორი ჩარლზ სევილი შრომის კოდექსის მთავრობის მიერ ინიცირებულ ცვლილებებს მიიჩნევს.²⁴ ამ მოსაზრებას არ იზიარებს EBRD-ის ყოფილი რეგიონული დირექტორი კავკასიაში, მოლდოვასა და ბელორუსში პოლ-ანრი ფორესტიე, რომელიც ფიქრობს, რომ, პირიქით, ცვლილებები შრომის კოდექსში უფრო მიმზიდველს გახდის საქართველოს საინვესტიციო კლიმატს.²⁵ ჩვენი აზრით, შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების თავდაპირველი ვარიანტი მართლაც არახელსაყრელი იყო ინვესტორებისთვის, რასაც ადასტურებს PMC-ის მიერ განხორციელებული კვლევა,²⁶ თუმცა საქმე მხოლოდ შრომის კოდექსის ცვლილებაში არ არის. რეგულირების გაურკვევლობის პრობლემა უფრო ფართო კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების განცხადებული ეკონომიკური პოლიტიკა ლიბერტარიანულ დოქტრინას ეყრდნობოდა და თავისუფალი ბაზრის უზენაესობის და „მინიმალური მთავრობის“ პრინციპებს ქადაგებდა, მაგრამ რეალობაში არც მმართველობის ავტორიტარულ სტილს ერიდებოდა, არც საკუთრების უფლების ხელყოფას და არც სახელმწიფოს უხემ ჩარევას ეკონომიკაში.²⁷ მიუხედავად ამისა, წინა მთავრობამ კომუნიკაციის ეფექტიანი სტრატეგიის მეშვეობით შეძლო საერთაშორისო არენაზე რეფორმატორის იმიჯის დამკვიდრება. ამ ფონზე, ინვესტორებსა და დონორებთან დაკავშირებულ გავლენიან წრეებში ჩაისახა ეჭვი იმის შესახებ, რომ ახალი მმართველი კოალიცია, რომელიც წლების მანძილზე სააკაშვილის რეჟიმის შეურიგებელ

ოპოზიციაში მყოფი, იდეოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ განსხვავებული ძალებისგან დაკომპლექტდა, გამოავლენს პოლიტიკურ ნებას იმ პოზიტივის (მათი აზრით) შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, რაც მემკვიდრეობით მიიღო. სამწუხაროდ, ახალმა მთავრობამ ჯერჯერობით ვერ შეძლო კომუნიკაციის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება.²⁸ მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკაში კარგად ჩახედული უცხოელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ბიზნესკლიმატი ქვეყანაში არ გაუარესებულა და, პირიქით, უკეთესობისკენ იცვლება.²⁹

რეგულირების გაურკვევლობას ხელს უწყობს ის, რომ მთავრობა ზოგჯერ ნაადრევ განცხადებებს აკეთებს რეგულირების სისტემაში ცვლილებების შესახებ, მაშინ, როდესაც დეტალები ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული ან პოლიტიკურად შეთანხმებული მმართველ კოალიციაში. ასე მოხდა შრომის კოდექსის შემთხვევაშიც, რასაც მოჰყვა დაინტერესებულ მხარეებთან რთული და გაჭიანურებული დისკუსიები.³⁰ იმავდროულად, მთავრობის გავლენიანმა წევრებმა ამ კანონის ცვლილებების პარლამენტში წარდგენილი თავდაპირველი ვარიანტის მიმართ არსებითად განსხვავებული შეხედულებები გამოთქვეს. საბოლოო ჯამში მიღებულ იქნა შრომის კოდექსის ცვლილებების კომპრომისული, უფრო დაბალანსებული, ვარიანტი.

რეგულირების გაურკვევლობის კიდევ ერთი მაგალითია ახალი კანონპროექტი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ 2012 წლის ბოლოს მომზადდა და არაერთხელ იქნა განხილული ექსპერტების მიერ, მაგრამ მისი მიღება უკვე 7 თვეა ჩიანურდება.³¹

ამგვარი მაგალითები ხელს უწყობს ინვესტორთა შორის მარეგულირებელი ჩარჩოს არასტაბილურობის განცდის არსებობას. ზოგიერთი მათგანი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა სხვა საკანონმდებლო აქტებშიც, მათ შორის საგადასახადო კოდექსში, შევიდეს ცვლილებები, რაც არახელსაყრელი იქნება ინვესტორებისთვის.³²

ინსტიტუციური გაურკვევლობა

პოლიტიკის გაურკვევლობა საქართველოში ინვესტიციების ხელშეწყობის ინსტიტუციურ ჩარჩოსაც შეეხო. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე (2012 წლის ივლისი) ქვეყანაში ინვესტიციების

(როგორც უცხოური, ისე შიგა) ხელშეწყობის ორიარუსიანი სისტემა შეიქმნა, რომელიც შედგება ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და სახელმწიფოს მიერ შექმნილი სააქციო საზოგადოებისაგან, რომელსაც „საპარტნიორო ფონდი“ ეწოდა. პირველი წარმოადგენს ე.წ. „ფრონტ ოფისს“ (Front office), რაც ნიშნავს, რომ ყველა ინვესტორს შეუძლია მიმართოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს, რომელიც მათ შესაბამის დახმარებას აღმოუჩენს; ხოლო თუ საინვესტიციო პროექტი მოითხოვს თანადაფინანსებას, საკითხი განსახილველად გადაეცემა საპარტნიორო ფონდს.³³

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ახალმა მთავრობამ სამი ახალი საინვესტიციო ფონდის შექმნა დააანონსა; ესენია: სუვერენული ფონდი, რომელიც საპარტნიორო ფონდის ბაზაზე ჩამოყალიბდება; სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი და თანაინვესტირების კერძო ფონდი.

სუვერენული ფონდი, არსებული ინფორმაციით, შექმნის პროცესშია, თუმცა რაიმე საკანონმდებლო აქტის ან კანონის პროექტი მისი სტატუსისა და ფუნქციონირების წესის, აგრეთვე ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსთან მისი მიმართების შესახებ დღეისათვის ცნობილი არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ სუვერენულ ფონდი „თავს მოუყრის სახელმწიფო აქტივებს და განახორციელებს სტრატეგიულ პროექტებს“, იკისრებს „საერთაშორისო დივერსიფიკაციის ფუნქციას“ და განახორციელებს „ახალგაზრდული (ინოვაციური) პროექტების“ მხარდაჭერას და „სხვა მომავალი ფონდების“ მართვას.³⁴

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს შეიქმნა და მისი ეგიდით უკვე ორი პროექტი ხორციელდება („მცირემნიშნან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის“ და „შელავათიანი აგროკრედიტის“ პროექტები), თუმცა ამ ფონდის იურიდიული სტატუსი და დაფინანსების წყაროები ბოლომდე ნათელი არ არის და გარკვეულ კითხვებს ბადებს.³⁵

რაც შეეხება თანაინვესტირების კერძო ფონდს, იგი ჯერ არ მოქმედებს, ხოლო ინფორმაცია მის შესახებ იმდენად მწირია, რომ საგნობრივ წარმოდგენას არ იძლევა ამ ფონდის ფუნქციონირების მექანიზმზე.

ყოველივე ზემოთქმული წარმოშობს ინსტიტუციურ გაურკვეველობას, რაზედაც არაერთხელ გამახვილდა ყურადღე-

ბა როგორც საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების, ისე ცალკეული ექსპერტებისა და მიმომხილველების მხრიდან.³⁶ საინვესტიციო პოლიტიკის ამგვარი გაურკვეველობა ხელს არ უწყობს ინვესტორების ნდობის განმტკიცებას.

ინვესტორებთან შეთანხმებების გადასინჯვა

პოლიტიკის გაურკვეველობის ერთ-ერთ ფორმად შეიძლება განვიხილოთ ინვესტორებთან წინა მთავრობის დროინდელი შეთანხმებების დარღვევის რისკი (“Breach of Contract”), რომლის მიმართ, MIGA-ს ზემოთ დასახელებული კვლევის მიხედვით, განვითარებადი ქვეყნების უცხოელი ინვესტორები განსაკუთრებით მგრძობიარე არიან (რეგულირების გაურკვეველობის შემდეგ).³⁷

სამწუხაროდ, ბოლო წლებში საქართველოში განხორციელებულ ყველა მეტ-ნაკლებად მსხვილ უცხოურ ინვესტიციას თან ახლდა გასაიდუმლოებული, ზოგიერთ შემთხვევაში, არაფორმალური შეთანხმება ინვესტორთან, რომლითაც საქართველოს ხელისუფლება მის სასარგებლოდ გარკვეულ ვალდებულებებს იღებდა. ეს ვალდებულებები უცხოელ ინვესტორს, მოქმედი საინვესტიციო რეჟიმით გათვალისწინებული შეღავათების გარდა, დამატებითი სარგებლის მიღების საშუალებას აძლევდა. მაგალითად, ენერგეტიკული კომპანიების მიერ განხორციელებული ინვესტიციების სწრაფი უკუგების უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვნად იზრდებოდა შესაბამისი ტარიფები.³⁸

ხელისუფლებაში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ დადგა საკითხი ამგვარი ვალდებულებების გადასინჯვის შესახებ, რამაც, რასაკვირველია, მოქმედი უცხოური კომპანიების უკმაყოფილება გამოიწვია.

ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისთვის

ეკონომიკური აქტიურობის არსებითი შენელების ფონზე ეჭვქვეშ დადგა 2013 წელს GDP-ის ზრდის ტემპის ადრინდელი პროგნოზები, რომლებიც საერთაშორისო ფინანსურმა ორგანიზაციებმა და სარეიტინგო სააგენტოებმა გააკეთეს. რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულმა ბანკმა (EBRD) აღნიშნული პროგნოზი კარგა ხანია 5%-დან 3%-მდე დასწია,³⁹ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა – 6%-დან 4%-მდე,⁴⁰ ხოლო სარეიტინგო კომპანია Fitch-მა

– 5,5%-დან 3%-მდე.⁴¹

საქართველოს მთავრობა რეალური GDP-ის ზრდის ოფიციალური პროგნოზის (6%) გადახედვას არ ჩქარობს, თუმცა ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა მინისტრებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული პროგნოზი უკვე არარეალისტურია.⁴² შეიძლება ითქვას, რომ წლის მეორე კვარტალში ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვნად დაჩქარების იმედი აღარ უნდა გვექონდეს, რასაც თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ 2013 წლის იანვარ-მაისში GDP-ის საშუალო რეალურმა ზრდამ, საქსტატის წინასწარი შეფასებით, მხოლოდ 2,3% შეადგინა.⁴³ აქედან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ წლის დარჩენილ პერიოდში (მესამე და მეოთხე კვარტალში) მოხერხდეს GDP-ის ზრდის ისეთი მაღალი ტემპების მიღწევა, რომელიც წლიურ ზრდას თუნდაც 5%-ის დონეზე უზრუნველყოფს. საგულისხმოა, რომ ივლისში ეროვნულმა ბანკმა 2013 წელს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 6-დან 4%-მდე შეამცირა.⁴⁴ ამიტომ აჯობებს, თუ მთავრობა დროულად გადახედავს ოფიციალურ პროგნოზს და შესაბამის კორექტივებს შეიტანს ქვეყნის ბიუჯეტში.

ამ ეტაპზე მთავრობის მთავარი ამოცანაა არ დაუშვას ეკონომიკური ზრდის შენელების გადაზრდა რეცესიაში, რისი რეალური საფრთხეც უკვე არსებობს. მოცემული ამოცანის გადაწყვეტა გარდამავალი პერიოდის (ხელისუფლების გადაცემა) ძირითადი უარყოფითი ეკონომიკური ეფექტების შედარებით მოკლე დროში განეიტრალებას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, სამი რამ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი: ინვესტორების (მათ შორის ადგილობრივის) ნდობის აღდგენა, ბიზნესის დეპოლიტიზება და დეკრიმინალიზება და ეკონომიკის ფისკალური სტიმულირების გაძლიერება.

ინვესტორთა ნდობის აღდგენა

ინვესტორების ნდობის აღდგენა არსებითად მათი ქცევის მოდელის – „მოიცადე და დააკვირდი“ – შეცვლას გულისხმობს, რისთვისაც საჭიროა, ერთი მხრივ, პოლიტიკური გაურკვეველობის, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკის გაურკვეველობის გადალახვა.

პოლიტიკური გაურკვეველობა თანდათან ნეიტრალდება, რაც სამოქალაქო დაძაბულობისა და პოლიტიკური არასტაბილურო-

ბის რისკის კლებაში გამოიხატება. ახალ მთავრობას და პარლამენტს ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობის ნდობის დიდი კრედიტი აქვთ, რასაც ძველი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებათა სისტემატური გამოვლენის ფონზე რეალური ოპოზიციის (ყოფილი მმართველი პარტიის) დასუსტებაც უწყობს ხელს. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ წინა მთავრობის მაღალჩინოსანთა წინააღმდეგ სისხლის-სამართლებრივ დევნაში ზოგჯერ შერჩევითი მართლმსაჯულების აჩრდილს და საქართველოს „უკრაინიზაციის“ საფრთხეს ხედავენ.⁴⁵ აქედან გამომდინარე, ახალ მთავრობას ესაჭიროება გამართული კომუნიკაცია, რათა ეს ეჭვები გააქარწყლოს.

აუცილებელია უცხოელ ინვესტორებსა და დონორებს კარგად განემარტოთ, რომ 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში საკონსტიტუციო მოდელი იცვლება და ახალი პრეზიდენტის არჩევა, ვინც არ უნდა იყოს იგი, ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკაზე დიდ გავლენას ვერ მოახდენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი პრემიერ-მინისტრის განცხადება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მალევე პოლიტიკიდან წასვლის შესახებ⁴⁶ ნაკლებად წაადგება ინვესტორთა ნდობის აღდგენას, რადგანაც პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიად საქართველოში ამ ეტაპზე სწორედ პრემიერ-მინისტრის ფიგურა აღიქმება.

პოლიტიკის გაურკვევლობის განეიტრალება, უწინარეს ყოვლისა, ახალი მთავრობის ფასეულობათა, სტრატეგიული მიზნების და მათი მიღწევის გზების ნათლად ჩამოყალიბებას და საერთაშორისო დონეზე მათ წარმოჩენას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო პროგრამაში „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“⁴⁷ თითქოს კარგად ჩანს ახალი მთავრობის პრიორიტეტები, დოკუმენტს, მისი ფორმატიდან გამომდინარე, აკლია სტრატეგიული ხედვა და სისტემურობა; ამასთან, სამთავრობო პროგრამაში პირდაპირ არის მითითებული, რომ სახელმწიფომ „უნდა განსაზღვროს განვითარების სტრატეგია უმთავრესი მიზნებისა და შესაბამისი ინდიკატორების დონეზე; განვითარების სტრატეგიის ფარგლებში განისაზღვრება ყველა ის ფუნქცია, რომელთა არსებობა აუცილებელია სტაბილური განვითარებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის“. ამგვარი სტრატეგიის შემუშავება გაჭიანურდა, რაც ხელს უშლის უცხოელ ინვესტორებსა

და დონორებს სათანადოდ აღიქვან საქართველოს მთავრობის ინიციატივები კანონმდებლობის ცვლილებებთან დაკავშირებით. ამდენად, ინვესტორთა ნდობის აღსადგენად გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს განვითარების საშუალოვადიანი (2020 წლის ჩათვლით) სტრატეგიის შემუშავება. ჩვენი აზრით, ეს არ უნდა იყოს ვრცელი დოკუმენტი, მაგრამ მასში კარგად უნდა აისახოს ახალი ხელისუფლების ფასეულობათა სისტემა და ქვეყნის განვითარების მოდელის ძირითადი პრინციპები, აგრეთვე ეკონომიკურ რეფორმათა თანმიმდევრულობა (დღის წესრიგი).

განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგიის შემუშავება, როგორც აღვნიშნეთ, გაამარტივებს რეგულირების გაურკვეველობის გადალახვას, მაგრამ ამ პრობლემას ბოლომდე მანც ვერ გაანეიტრალებს. ინვესტორები დარწმუნებული უნდა იყვნენ იმაში, რომ არსებული მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც მათთვის კომფორტულია, არ შეიცვლება კარდინალურად; და თუ შეიცვლება, ეს არ მოხდება მოულოდნელად და მათი ინტერესების საზიანოდ.

აქედან გამომდინარე, სასურველია შეიქმნას კომუნიკაციის ფორმატი, რომლის ფარგლებშიც მოხდება მარეგულირებელი ჩარჩოს შესაძლო ცვლილების უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისათვის გაცნობა. მიზანშეწონილია, რომ ეს ფუნქცია მთლიანად ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ იკისროს, რისთვისაც მისი ინსტიტუციური გაძლიერებაა საჭირო. გარდა ამისა, უნდა გადაიხედოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ მოქმედი კანონი, რომელიც ველარ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

ინვესტორთა ნდობის აღდგენისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ინსტიტუციური გაურკვეველობის გადალახვა, რაც, უწინარეს ყოვლისა, ინვესტორთა ხელშეწყობის გამჭვირვალე და ეფექტიანი ინსტიტუტების შექმნას გულისხმობს. ახალმა მთავრობამ გადაწყვიტა საპარტნიორო ფონდის რეორგანიზაცია და მის ბაზაზე სუვერენული ფონდის შექმნა, თუმცა აღნიშნული ფონდის ინსტიტუციური ჩარჩო ჯერ კიდევ არ არის ცნობილი. ამ რეფორმის მიმართ ინვესტორთა დიდი ინტერესის გათვალისწინებით სასურველია, რომ მთავრობამ დააჩქაროს შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადება, დაინტერესებულ მხარეებთან მათი დროულად განხილვა და მიღება. ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი საკითხი: როგორი იქნება სუვერენული ფონდის, როგორც ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების პარტნიორის, როლი და

რა მიმართება ექნება მას ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსთან. ჩვენი აზრით, უნდა შენარჩუნდეს ამ ორ სტრუქტურას შორის არსებული ინსტიტუციური ბმა.

ინვესტორებისთვის, პირველ რიგში – ადგილობრივი ინვესტორებისათვის, არანაკლებ საინტერესოა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის იურიდიული სტატუსი და დაფინანსების წყაროები, რადგანაც ეს ფონდი დღეისათვის აგრარულ სექტორში გრძელვადიანი ინვესტიციების ხელშეწყობის ძირითადი ინსტრუმენტია. მიგვაჩნია, რომ მთავრობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ფონდის, როგორც ინსტიტუტის განვითარებას, მათ შორის, მისი იურიდიული სტატუსის დახვეწას, მის „ავტონომიას“ სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან და მისი ფუნქციონირების გამჭვირვალობას.

რაც შეეხება მესამეს – თანაინვესტირების კერძო ფონდს, მართალია, იგი არ შედის ინვესტორთა ხელშეწყობის სახელმწიფო სისტემაში, მაგრამ, რამდენადაც ეს ფონდი მთავრობის ეგიდით იქმნება, ხოლო მისი მოცულობა, პრემიერ-მინისტრის განცხადებით, რამდენიმე მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს,⁴⁸ ეს ფონდი ქვეყანაში ინვესტირების საკმაოდ მძლავრ ფაქტორად შეიძლება იქცეს. აქედან გამომდინარე, ძნელია გადაჭარბებით შეაფასო მისი ინსტიტუციური მონყობის და ფუნქციონირების მექანიზმის მოკლე ვადებში გარკვევის მნიშვნელობა.

პოლიტიკის გაურკვევლობის გადალახვისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ინვესტორთა ხელშეწყობა იყოს „წესებზე დაფუძნებული“ (Rule Based), ანუ ინვესტორმა უნდა ისარგებლოს მხოლოდ არსებული საინვესტიციო რეჟიმით გათვალისწინებული შეღავათებით. დაუშვებელია ყოველგვარი ფარული ან არაფორმალური შეთანხმება სახელმწიფოს ან მის მოქალაქეთა ხარჯზე ინვესტორის მიერ დამატებითი სარგებლის მიღების მიზნით, როგორც ამას წინა ხელისუფლება აკეთებდა. იმავდროულად, ახალმა მთავრობამ, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა გაითვალისწინოს უკვე განხორციელებული ან განხორციელების პროცესში მყოფი საინვესტიციო პროექტების ფარგლებში მისი წინამორბედის მიერ აღებული ვალდებულებები, რათა არ მოხდეს მოქმედ ინვესტორთა ინტერესების შელახვა.

ბიზნესის დეპოლიტიზება და დეკრიმინალიზება

ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისათვის აუცილებელია მსხვილი ბიზნესსტრუქტურების გამოყვანა პოლიტიკური შოკის მდგომარეობიდან, რომელიც მათ არჩევნების შემდეგ წინა ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული უაღრესად მანკიერი „თამაშის წესების“ გაუქმების შედეგად მიიღეს.

პრივილეგიების და ელიტური მფარველების დაკარგვის გამო აღნიშნული კომპანიები დიდი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდნენ: მათი უმრავლესობის გაყიდვები მკვეთრად დაეცა, ერთი ნაწილი დაიხურა კიდევ, მეორე ნაწილს კი ექსპროპრიაციის საფრთხე დაემუქრა, მათ შორის, საგადასახადო დავალიანების გამო.⁴⁹ თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ კომპანიების უმეტესობა მსხვილი საწარმოებია, რომლებიც შედარებით მაღალი ტექნოლოგიური დონით და კვალიფიცირებული სამუშაო ძალით გამოირჩევიან, მათი პარალიზება ქვეყნის ეკონომიკას ძვირად დაუჯდება. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება აღნიშნული კომპანიების ეკონომიკური აქტიურობის შენარჩუნების საკითხი, მაგრამ როგორ?

ჩვენი აზრით, პროცესი ერთდროულად ორი მიმართულებით შეიძლება წარიმართოს:

პირველი – უნდა გაიმიჯნოს ამ კომპანიების მენეჯმენტის და რეალური მფლობელების, მათ შორის, პოლიტიკურად ანგაჟირებული პირების და მათი ნათესავ-მეგობრების, პასუხისმგებლობა. ამ შემთხვევაში აღნიშნულ საწარმოებს ფუნქციონირების გაგრძელების შანსი მიეცემათ, მათი პატრონები კი, აუცილებლობის შემთხვევაში, დაექვემდებარებიან სისხლის სამართლებრივ დევნას ელიტურ-კორუფციულ სქემებში მონაწილეობისა თუ სხვისი ქონების მითვისების გამო. ამ გზით შესაძლებელი გახდება დასახელებულ საწარმოთა საქმიანობის ერთგვარი დეპოლიტიზება.

მეორე – თუ კომპანიებში გამოვლინდება ეკონომიკური დანაშაული, მათ შორის, გადასახადებისგან თავის არიდება, რაზედაც პასუხისმგებლობა უშუალოდ მენეჯმენტს ეკისრება, მიზანშეწონილია შემუშავდეს ამ ტიპის დანაშაულების დეკრიმინალიზებისა და საგადასახადო ვალდებულების განვადების მოქნილი მექანიზმი. ამ გზით შესაძლებელი გახდება თავიდან ავიცილოთ საწარმოთა დაყადაღება და მათი საქმიანობის შეჩერება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს კომპანიები საკმარისად კონკურენტუნარიანი არიან და ბაზარზე, ფაქტობრივად, დომინირებული მდგომარეობა უჭირავთ, რომლის შერყევას კონკურენციის სრულყოფილი კანონმდებლობის პირობებშიც კი დრო დასჭირდება, მათ არ უნდა შეექმნათ ხელოვნური ბარიერები სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის დროს.

ეკონომიკის ფისკალური სტიმულირება

ინვესტორთა ნდობის აღდგენას, ასევე ბიზნესის დეპოლიტიზაცია-დეკრიმინალიზაციას, ძლიერი პოლიტიკური ნების გამოვლენის შემთხვევაშიც კი, გარკვეული დრო უნდა. არადა, საქართველოს ეკონომიკას დაუყოვნებლივ სჭირდება სტიმულირება, მით უმეტეს, რომ უკვე წელიწადზე მეტია შეინიშნება აშკარა დეფლაციური ტრენდი, რომლის ერთ-ერთი მიზეზი შიგა მოთხოვნის სისუსტეა.⁵⁰ ახალი მთავრობის აქტიურმა სოციალურმა პოლიტიკამ, რაც ბიუჯეტის სოციალური ხარჯების მზარდ დინამიკაში აისახა,⁵¹ როგორც ჩანს, ვერ გადაფარა ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების შეყოვნებისა და მთავრობის მოხმარების (საქონლისა და მომსახურების შესყიდვები) შემცირების უარყოფითი მაკროეკონომიკური ეფექტი და შიგა მოთხოვნაზე არსებითი გავლენა ვერ მოახდინა. აქედან გამომდინარე, თუ ხელისუფლება არ დააჩქარებს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას, რის შესახებაც მისი მხრიდან არაერთი განცხადება გაკეთდა, და არ გაზრდის სახელმწიფო შესყიდვებს, ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელების გადალახვა და რეცესიის თავიდან აცილება გაჭირდება.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით,⁵² 2013 წელს ინფრასტრუქტურულ პროექტებში, წინა წელთან შედარებით, 8,4%-ით მეტი თანხების დაბანდებაა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული. ამავე მონაცემებით, აღნიშნული ხარჯების 42,5% 2013 წლის მეორე კვარტალში უნდა განეულიყო, რაც ბევრად მეტია წინა წლის შესაბამის პერიოდში გაღებულ ანალოგიურ ხარჯებზე. ამ ხარჯების მულტიპლიკაციური ეფექტი, თუ მათი განხორციელება არ შეფერხდა (თუნდაც, შესაბამისი ტენდერის ჩატარების გაჭიანურების გამო), სავარაუდოდ, წლის მეორე ნახევარში გამოჩნდება, რაც გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ეკონომიკური ზრდის ტემპების მატებასთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის ზრდის ტემპების ვარდნა დეფლაციური ტრენდის ფონზე შესამჩნევ პრობლემებს შექმნის ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზაციის თვალსაზრისით, რაც, ცხადია, დღის წესრიგში დააყენებს ხარჯების შემცირების საკითხს. სახელმწიფოს მიერ ნაკისრი სოციალური ვალდებულებების შესრულებას ეს, როგორც ჩანს, ნაკლებად დაეტყობა, რასაც ვერ ვიტყვით ბიუჯეტის სხვა ხარჯებზე. ბიუჯეტის ხარჯების კლებამ კი, უცხოური ინვესტიციების დაგვიანების შემთხვევაში, შესაძლოა ხელი შეუწყოს ეკონომიკის რეცესიაში ჩათრევას. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მთავრობამ ბიუჯეტის დეფიციტის გარკვეულ ზრდაზე იფიქროს, მით უმეტეს, რომ თვით საერთაშორისო სავალუტო ფონდიც კი არ არის ამის წინააღმდეგი.⁵³

გამოყენებული წყაროები

1 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), *კვარტალური ბიულეტენი, 2013, I*, გვ. 9-11. www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/QuarterlyBull_2013_I_Geo.pdf

2 იქვე.

3 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). *ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, აპრილი, 2013*. www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/economic/yovelTviuri%20ekonomikuri%20statistika-aprili.pdf

4 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). *საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი, 2013 წლის პირველი კვარტალი*. [www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/GDP_2013_Q1\(press-release\)_Geo.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/GDP_2013_Q1(press-release)_Geo.pdf)

5 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). *ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, მაისი, 2013*. www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/economic/yovelTviuri%20ekonomikuri%20statistika-maisi_2013.pdf

6 იხ.: International Monetary Fund. *Georgia: 2013 Article IV Discussions Concluding Statement of the IMF Mission*. June 10, 2013. www.imf.org/external/np/ms/2013/061013.htm; “Fitch Ratings: Georgian Real GDP Growth to Reach 3% in 2013.” *The Financial*, Tuesday, June 3, 2013. www.financial.ge/pdf/ePaper.pdf

7 იხ.: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2013 წლის I კვარტალი*. www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FDI-2013-I-GEO.pdf

8 იხ.: “Ending Georgia’s Corruption Needs Institutional Reform.” *Oxford Analytica*, Wednesday, January 9 2013. www.oxan.com/display.aspx?ItemID=DB180683

9 საქართველოს ეროვნული ბანკი. *ინფლაციის მიმოხილვა*. მაისი 2013, გვ. 30. www.nbg.gov.ge/uploads/publications/inflationreport/2013/ir_2013_maypublish.pdf

10 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), *მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი გამოყენება ძირითადი კატეგორიების მიხედვით*. www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/mSp%20danaxarjebis%20mixedviT.xls

11 ამაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამაც მიუთითა. იხ.: International Monetary Fund. *Georgia: 2013 Article IV Discussions Concluding Statement of the IMF Mission*. June 10, 2013.

12 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

13 ამ ინდექსს საქართველოში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) აქვეყნებს. http://iset-pi.ge/index.php?article_id=710

14 საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

15 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). *საქართველოს საგარეო ვაჭრობა, 2013 წლის იანვარი-მაისი*. www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FTrade_05_2013_GEO.pdf

16 საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

17 იხ.: J. Kobzova. *Georgia’s Bumpy Transition: How the EU can Help*. The European Council on Foreign Relations, Policy Memo, April 4, 2013, p.3. http://ecfr.eu/page/-/ECFR75_georgia_MEMO_AW.pdf

18 P. Rimple. *Who Owned Georgia? 2003-2012*. Transparency International Georgia, Open Society Georgia Foundation. 2012. http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Who%20Owned%20Georgia%20English.pdf

19 V. Papava. “Anatomical Pathology of Georgia’s Rose Revolution.” *Current Politics and Economics of the Caucasus Region*, Volume 2, Issue 1, p.12-13; T. De Waal. *Georgia’s Choices. Charting a Future in Uncertain Times*. Washington, D.C.: Carnegie Endowment for International Peace, 2011, pp. 24-26. http://carnegieendowment.org/files/georgias_choices.pdf; “Ending Georgia’s Corruption Needs Institutional Reform”. *Oxford Analytica*, Wednesday, January 9 2013. www.oxan.com/display.aspx?ItemID=DB180683

20 იხ.: გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, N319, 4-10 აპრილი, 2013 წელი, გვ. 12.

21 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). *ბიზნეს სექტორი*. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/business/sawarmota%20

zomis%20mixedviT/brunva.xls; National Statistics Office of Georgia (GeoStat). *Quarterly Bulletin*, 2012, 1, p. 32. www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/QuarterlyBull_2012_I_Eng.pdf

22 ეს ცნება საქართველოსთან მიმართებაში ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა სარეიტინგო კომპანია Fitch-ის რეგიონულმა დირექტორმა ჩარლზ სევილმა, რომელმაც 2012 წლის 5 ოქტომბერს გამოქვეყნებულ კომენტარში მიუთითა პოლიტიკის გაურკვევლობის შესაძლო ზრდაზე საქართველოში არჩევნების შემდეგ. იხ.: Charles Seville. *Smooth Georgia Power Shift Positive, Uncertainties Arise*. www.fitchratings.com/gws/en/fitchwire/fitchwirearticle/Smooth-Georgia-Power?pr_id=763441

23 Multilateral Investment Guarantee Agency (MIGA). *World Investment and Political Risk*. 2012. www.miga.org/documents/WIPR12.pdf

24 *The Financial*, Tuesday, June 3, 2013. www.financial.ge/pdf/ePaper.pdf

25 *Ibid*.

26 Policy, Management, and Consulting (PMC) Research Center. *Economic impact of proposed amendments to the Georgian Labor Code*. www.scribd.com/doc/147307912/Analysis-of-the-Amendments-to-the-Labor-Code-Eng-Final

27 V. Papava. *Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After*. New-York: Nova Science Publishers, 2013, pp. 89-91; C. Timm. *Economic Regulation and State Interventions. Georgia's Move from Neoliberalism to State Managed Capitalism*. PFH Private Hochschule Göttingen, No. 2013/03, PFH.FOR.143.1306. www.pfh.de/images/stories/pfh/pdf/economic_regulation_and_state_interventions_georgia_s_move_from_neoliberalism_to_state_managed_capitalism_timm_fp_2013_03.pdf

28 J. Kobzova. *Georgia's Bumpy Transition: How the EU can Help*. The European Council on Foreign Relations, Policy Memo, April 2013, p.3.

29 “Messages sent by Government to the Business Community are Confusing”, Former EBRD Director”. *The Financial*, Tuesday, June 3, 2013.

30 International Monetary Fund. *Georgia: 2013 Article IV Discussions Concluding Statement of the IMF Mission*. www.imf.org/external/np/ms/2013/061013.htm

31 გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, N 329, 27 ივნისი-3 ივლისი, 2013.

32 M. Antidze. “In Ex-Soviet Georgia, Political Feud Shakes Investors”. *CNBC*. www.cnbc.com/id/100791903

33 საპარტნიორო ფონდი შედარებით მსხვილი საინვესტიციო პროექტების (სოფლის მეურნეობაში არანაკლებ 5 მლნ ლარის, სხვა დარგებში კი – 30 მლნ ლარის მოცულობის) თანადაფინანსებაში მონაწილეობს.

34 *მთავრობის 100 დღე*. ანგარიში ხალხს. საქართველოს მთავრობის პრეზენტაცია. www.mfa.gov.ge/files/713_15964_897982_%E1%83%9B%E1%83%

97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1100%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%94.pdf

35 „მთავრობამ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი არაკანონიერად დააფუძნა“. *გურია News*, 18 ივნისი, 2013. www.gurianews.com/home/2010-11-26-08-10-05/10827-q-----q.html

36 იხ.: International Monetary Fund. *Georgia: 2013 Article IV Discussions Concluding Statement of the IMF Mission*. June 10, 2013; “Messages sent by Government to the Business Community are Confusing”, Former EBRD Director”, *The Financial*, Tuesday, June 3, 2013; Jana Kobzova. *Georgia’s Bumpy Transition: How the EU can help*. The European Council of Foreign Relations, Policy Memo, p.3.

37 იხ.: Multilateral Investment Guarantee Agency. *World Investment and Political Risk. 2012, p.21*. www.miga.org/documents/WIPR12.pdf

38 ნინო ასათიანი. „რეალობა და მითები ტარიფების შესახებ“. *For.ge*, 26 ნოემბერი 2012. www.for.ge/view.php?for_id=19021&cat=1; მისივე. „ელექტრო-ენერგეტიკის ტარიფები და ენერგეტიკული მომავალი“. *For.ge*, 20 იანვარი, 2013. www.for.ge/view.php?for_id=20573&cat=1

39 EBRD. *Regional Economic Prospects in EBRD Countries of Operations: May 2013*. EBRD Office of the Chief Economist. www.ebrd.com/downloads/research/REP/rep-may-2013.pdf

40 International Monetary Fund. *Georgia: 2013 Article IV Discussions Concluding Statement of the IMF Mission*. June 10, 2013.

41 “Fitch Ratings: Georgian Real GDP Growth to Reach 3% in 2013”. *The Financial*, Tuesday, June 3, 2013. www.financial.ge/pdf/ePaper.pdf

42 „ნოდარ ხადური: ეკონომიკური ზრდა 6% ვერ იქნება“. *BPI*, 5 ივლისი, 2013. www.bpi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=15697%3A----6--&catid=921%3A2011-11-06-16-36-05&lang=ka

43 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), *ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, მაისი, 2013*.

44 საქართველოს ეროვნული ბანკი. ინფლაციის მიმოხილვა. მაისი 2013. www.nbg.gov.ge/uploads/publications/inflationreport/2013/ir_2013_may_publish.pdf

45 Jana Kobzova. *Georgia’s Bumpy Transition: How the EU can Help*. The European Council of Foreign Relations, Policy Memo, pp. 4-5.

46 “Ivanishvili Might Leave, But Might Also Stay as PM”. *Democracy and Freedom Watch*, Jul 3, 2013. <http://dfwatch.net/ivanishvili-might-leave-but-might-also-stay-as-pm-90376>

47 საქართველოს მთავრობა. სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“. http://government.gov.ge/files/68_35092_403443_programa.pdf

48 “Prime Minister: Capital of Co-Investment Fund Might Reach 10 B Lari”. *BPI*, July 4, 2013. http://en.bpi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=13904:prime-minister-capital-of-co-investment-fund-might-reach-10b-lari&catid=49:2011-11-06-16-56-03

49 გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, N329, 27 ივნისი-3 ივლისი, 2013 წელი, გვ. 8.

50 საქართველოს ეროვნული ბანკი. *ინფლაციის მიმოხილვა*. მაისი 2013. გვ.17.

51 იქვე, გვ. 28.

52 აქ მოყვანილი მონაცემები მიღებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან.

53 International Monetary Fund. *Georgia: 2013 Article IV Discussions Concluding Statement of the IMF Mission*. June 10, 2013.